№ 260

სამშაბათი, 16 დეკემბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 260

სამშაბათი, 16 დეკემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კვირას, 21 დეკემბერს

გამართულ იქნება ტფილისის სობრანიეში „წერა კითხვის გამავრცელებე-
ლის საზოგადოების“ სასარგებლოდ

კონცერტი,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი გინკულოვისა და სარაჯიშვილისა და ბ ნნი აკაკი, ველიჩკო, კნინა, კარგარეთელი, სარაჯიშვილი და ყარაშვილი.

კონცერტის შემდეგ იქნება ცეკვა.

დასაწყისი 8½ საათზედ

ბილეთები წინდაწინ ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ კანცელარიაში, ხოლო კონცერტის დღეს თვით „სობრანიეში“ შვეიცართან. (5—უ.—2)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს,

ბენეფისი ბ-ნ გედევანოვისა

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

კრიყანზი

კომედია 5 მოქმედ. თხზ. მოლიერისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა კარგარეთელი, გარელი; ბ-ნნი მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, აღამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

აკაკის

თვიური „კრებული“

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

წლიწადი ითვლება ენკენისთვიდან ენკენისთვემდე.

„კრებული“ ცალკე ნომრებით არ მაიყიდება.

წლიური ფასი თბილისში მცხოვრებთათვის 6 მანეთია, ხოლო კავკასიის და რუსეთის სხვა ქალაქებში გაგზავნით—7 მან. ნახევარი წლით—4 მანათი.

რედაქცია იღებს დასაბეჭდათ კერძო განცხადებებს.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 10 საათიდგან მეორე საათამდის.

რედაქცია გადავიდა მუხრან-ბატონის სახლიდან მთაწმინდაში.

ადრესი: Тифлисъ. „Кребули“. Малая Судебная № 4.

(3—უ—3)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ მედლები: წარწერითურთ „გულმოდგინეობისათვის“ კავკასიის მხრის სამხედრო-სახრო გამგეობაში წარჩინებულ და ერთგულ სამსახურისათვის: ბათუმის მილიციის ჩაფარს მაჭმედ-აღა მეგრელიძეს—ვერცხლის მედალი ყელზედ სატარებლად სტანისლავის ლენტით; სოხუმის საერობო დარაჯის ჩაფრებს: ომარ-აღა-კოპოლაძეს და ზოსიმე ბოლის კერიას—ვერცხლის მედლები გულზედ სატარებლად სტანისლავის ლენტით; ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის სოფ. კინდგის მცხოვრებელს, მილიციის იუნკერს დიმიტრი ხვარცკიას—ოქროს მედალი ყელზედ სატარებლად ანნას ლენტით; ყარსის ოლქის შურაგელის ნაწილის დუხაბორთა მთავრობის მიერ დანიშნულ დუხაბორთა სოფლების მამასახლისს, ყარსის მილიციის ურიადნიკს ხლექსი ქუმსიაშვილს—ვერცხლის მედალი ყელზედ სატარებლად ანნას ლენტით; ზაქათალის ოლქის სოფელ თასმალოს მამასახლისის თანაშემწეს მარკოზ-პიროსმანაშვილს—ვერცხლის მედალი გულზედ სატარებლად სტანისლავის ლენტით.

ჩარიცხულ იქმნენ: შუშის მაზრის პოლიციის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი, პორუჩიკი თავადი ციციშვილი—ქვეითა ჯარის რაზმში ისე, რომ უწინდელს თანამდებობაზედ იქმნას დატოვებული და გოლინის ლეიბ-გვარდიის რაზმის პორუჩიკი თავადი ვახვახიშვილი—სათადარიგო ქვეითა ჯარში.

—

## ახალი ამბავი

—

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ ადიუტანტმა თავადმა გოლიცინმა წმ. ნინოს საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობისა გამო ხელ ახლად დაამტკიცა გენერალ-მაიორის მეუღლე კნეინა დარია რომანოზის ასული ჭავჭავაძე ხსენებულის საზოგადოების საბჭოს წევრად.

⁂ სამოსამართლო პალატაში 20 დეკემბერს იქმნება განხილული კერძო საჩივარი კერძო ვექილის კ. რ. პლიუშჩევსკისა იმის შესახებ, რომ ის ფული, რომელსაც თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს ვედავები, უზრუნველ-ყოფილ იქმნას ეხლავე საჩივრის გარდაწყვეტამდეო.

⁂ ნაფიცმა მსაჯულმა ა. ს. ფრენკელმა უკვე დაასრულა თურმე თავისის შრომის „ავაზაკობა კავკასიაში“-ს უკანასკნელი ნაწილი. ამ ნაწილში ავტორი იმ საშუალებათ შეეხება, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელიაო ავაზაკობის მოსპობა. ბ-ნი ფრენკელი თავისს მოხსენებას წაიკითხავს კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში ამ თვის უკანასკნელს რიცხვებში.

⁂ მასწავლებელ ქალთა ამხანაგობას განზრახვა აქვს საშობაოდ შობის ხე გაჰმართოს ღარიბ ბავშვთა სასარგებლოდ. ამ საქმის მოთავენი სთხოვენ ქველ-მოქმედთ თავიანთი შეწირულებანი „მასწავლებელთა და აღმზრდელთა“ კანტორაში (გრაფისა და სამების ვიწრო ქუჩის კუთხე) გაჰგზავნონ. იმედია, ამ კეთილს განზრახვას ხელს შეუწყობს ტფილისის საზოგადოება.

⁂ 12 დეკემბერს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საბჭოს მოლაპარაკება ჰქონდა ქალაქის თვითმართველობის მიერ აღძრულ შუამდგომლობის ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ. მოლაპარაკებას დაესწრო სულ 16 კაცი. კრებამ დაადგინა, თვითაც აღძრას შუამდგომლობა, რომ ტფილისში პოლიტეხნიკუმი იქმნას დაარსებული. ამასთანავე კრებამ აღიარა, რომ ქალაქის გამგეობას თავის შუამდგომლობაში სავსებით ვერა აქვს ეს საგანი შემუშავებულიო. ამიტომ საჭიროა ცალკე კომისია ამოვირჩიოთ და იმას მივანდოთ ამ საქმის კარგად გამორკვევაო. კომისიაში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს საზოგადოების წევრებმა: დზიუბენკომ, თავ. მაჩაბელმა, ტიმოფეევმა, ქალანთარმა, დანდუროვმა, როსინსკიმ და ზავაროვმა. სხვათა შორის, ბ-ნმა ტიმოფეევმა წარმოსთქვა ქალაქის მიერ პოლიტეხნიკუმისათვის გადადებულ 200 დეს. შესახებ, რომ საჭიროა ჯერ გაისინჯოს ეს ადგილი, გამოდგება იგი თუ არა პოლიტეხნიკუმისათვისაო.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელმა სასამართლოს გადასცა საქმე ართვინის ოლქის უფროსის შტაბს-კაპიტანის თავ. აბაშიძისა, რომელიც სამართალშია მიცემული თანამდებობის აღსრულების დროს ჩადენილ დანაშაულობისათვის.

⁂ ქართლ-კახეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს აზრადა აქვს დუშეთის მაზრაში დააარსოს რამდენიმე ახალი სასწავლებელი. სასწავლებლების დაარსება უფრო საჭიროდ დაინახეს სოფლებში: წილკანსა, ქარის-უბანსა, ნატახტარსა, ქსოვრისსა, ყანჩაეთსა, მლეთსა, კობსა, ნადიბაანთ-კარსა და კაიშაურში. უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი ის არის, რომ შენობის ასაგებად საჭირო თანხა არ არის და მასალა-კი ძვირადა ჰღირს. რადგანაც მლეთის მახლობლად ქვეშეთში ბევრი ძველი ქვის შენობები ყოფილა, რომელიც მასალად გამოდგებოდა სკოლების შენობისათვის, მისს მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს ვლადიმერს მიუმართავს ტფილისის გუბერნატორისათვის და უთხოვნია, ხსენებული ძველი შენობები საეპარქიო საბჭოს დაუთმეთო.

⁂ არა ერთხელა და ორჯელ თქმულა, რომ ტფილისის სირაჯები ვინ იცის როგორ ღვინოს ჰყიდიან კახურ ღვინის სახელითაო, მაგრამ მაინც ბოლო არ მოეღო ზოგიერთა სირაჯების თავ-გასულობას. აი ამისი მაგალითიც. ამ დღეებში საბჭოს ექიმმა-ქალმა ფომინა-ოსიპოვისამ იარმუკისა და მახლობელ ქუჩების სარდაფებიდგან თვრამეტნაირი ღვინო გაჰგზავნა ქალაქის ლაბორატორიაში შესამოწმებლად. ლაბორატორიაში ზოგიერთი ღვინო უკვე გასინჯეს თურმე და აღმოჩნდა, რომ სირაჯებს ღვინის შესაზავებლად მავნებელი წამლები უხმარიათ.

⁂ ქ. სიღნაღი. აქაურ ინტელიგენციას მოსწყინდა ამდენი ხნის უსაქმობა და ეხლა საქმეს მოჰკიდა ხელი. განზრახვა აქვთ საჯარო კითხვები გაჰმართონ ხოლმე ხალხისთვის. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულ იქმნა: შეიმუშავეს პროგრამმა მოქმედებისა და ნება-რთვაც აიღეს. გამოიღვიძა სომხის ინტელიგენციამაც და თხოვნა გაჰგზავნა სადაც ჯერ არს, რომ ნება მოგვეცით, რუსულ-ქართულ-სომხური იაფი წიგნთ საცავი დავაარსოთო.

ამ დღეებში ქალაქის გამგეობას ვიღაც ჩ. თხოვნა მოუვიდა, რომ გამგეობის მდივნად მე მიმიწვიეთო. დღემდის გამგეობის მდივნის თანამდებობას ქალაქის მოურავის თანაშემწე ენიკოლოფოვი ასრულებს, რომელსაც, რასაკვირველია, უჭირს ორ თანამდებობის ასრულება და იმედია, რომ ქალაქის მდივნის მოსაწევად გადადებული 600 მან. მალე დანიშნულებისამებრ იქმნება მოხმარებული.

⁂ 13 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა იოსებ ქავთარაძის საქმე, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდებოდა. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ოლქის სასამართლომ ქავთარაძე დამნაშავედ სცნო და ასტრახანის გუბერნიაში გადასახლება გადაუწყვიტა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

პარასკევს, 12 დეკემბერს, მოქალაქეთა გამგეობამ შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს: რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ამ გამგეობას ანგარიშით დაჰკლებია 1735 მ. 89 კ. და ეს ფული გაუფლანგავს მოქალაქეთა მოურავს კონიევსაო. რევიზიამ აღმოაჩინა აგრეთვე, რომ შემოსავალ გასავლის დავთარი გამგეობისა (1897 წ.) ამავე გამგეობის ბუჰალტერს ყორღანოვს წაუღია და იმის მაგიერად კონიევსა და ყორღანოვს სხვა დავთარი გაუტანიათ ამ წლის ენკენისთვეში და იმაში უწერიათ შემოსავალ-გასავალი. სამსახურიდგან დათხოვნილს ყორღანოვს დავთარი მოსთხოვეს, მაგრამ არ ინება იმის მოტანა.

⁂ სამხედრო ტოპოგრაფი ნ. ფ. კლემენტიევი ჰბეჭდავს ქალაქ ტფილისის გეგმას. გეგმა ხუთის ფერადის წამლით იქმნება დაბეჭდილი. ქუჩების სახელები თვით გეგმაში იქმნება მოქცეული. გარეშემო ნაპირებზედ მოთავსებული იქმნება ეკკლესიებისა, მოედნებისა და ბაღების სახელები და სამმართველო დაწესებულებათა ადრესებით. ერთის თვის შემდეგ გეგმა მზად იქმნება გასასყიდად.

⁂ 1898 წელს ქალაქის საბჭოს თვეში მხოლოდ ორი კრება ექმნება ხოლმე.

⁂ „კავკასს“ დეპეშით სწერენ ბათუმიდგან, 13 დეკემბერს: „მომრიგებელმა სასამართლომ დღეს დამნაშავედ სცნო ფქვილით მოვაჭრე პანაიოტ სიმონოვი უვარგისის ფქვილის გასყიდვის საქმეში. სიმონოვს 300 მან. ჯარიმა გადაუწყვიტეს, ხოლო თუ ამ ჯარიმის გადახდა ვერ შესძლო სამი თვით უნდა იქმნას დაპატიმრებული“.

⁂ სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ რუსეთის თევზის მომშენებელ და მწარმოებელ საზოგადოებას ერთმა უცხოეთის ამხანაგობამ აცნობა, რომ განზრახვა გვაქვს კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირას ქარხანა დავაარსოთ თევზეულობის „კონსერვების“ დასამზადებლად და ამ აზრით მამული უკვე შევიძინეთ ყიზლიარის განყოფილებაშიო.

** გაზ. „კავკას"-ს სწერენ სართიჭალიდგან, რომ სუკულიანში სამი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა მწყემსებს ნიკოლოოზ გენგაშვილს და კოლა კურხულის, წაართვეს ორი ძროხა, ხანჯალი, ჩოხა, ფარაჯა და გაიქცნენო. პოლიციამ შეიპყრო ბოროტ-განმზრახველნი, რომელნიც ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი მანსიროვი ისა-ოღლი და ისა-უსუფ-ოღლი აღმოჩნდენ.

** გაზ. „Пр. Край"-ს სიტყვით, კავკავის რკინის გზის საზოგადოებაში ხელ-ახლად აღუძრავთ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოებამ თავისის ხარჯით გაიყვანოს რკინის გზა კავკასიის უღელ-ტეხილზედ. უპირატესობას, გაზეთის სიტყვით, ინჟინერის რუდნიცკის აზრს აძლევენ, რომლითაც რკინის გზა კავკავის რკინის გზის სადგურის დარ-კოხიდგან დაიწყობა და რიონის ხეობაში გადავა. ონთან ორ შტოდ იქმნება გაყოფილი: ერთი ქუთაისისაკენ წავა, ხოლო მეორე გორის სადგურისაკენ. აზრადა აქვთ აგრეთვე ახალ-სენაკიდგან სოხუმამდისაც გაიყვანონ ერთი შტო.

** გაზ. „Недѣля" სწერს, რომ ხიზანთა საქმე, რომელიც ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროშია წარდგენილი განსახილველად ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შუამდგომლობისამებრ, მალე იქმნება განხილულიო. სამინისტროს განზრახვა აქვს ახალი დებულებაც შეიმუშავოს, რომლითაც ხიზნებს ნება მიეცემათ მამული შეისყიდონ ხოლმე იმ საერთო წესით, რომელიც მე IX ტ. (გამოსყიდვის დებულების) დამატებაშია აღნიშნულიო.

** ქ. ოზურგეთი. ქალაქის ექიმად დროებით მოწვეულ იქმნა ახალგაზდა მკურნალი ი. ჩარექიშვილი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვა ოზურგეთში. ჩარექიშვილს, სხვათა შორის, დაევალა იმ სოფლის ავადმყოფთა ნახვა და წამლობა, რომელთაც თითონ არ შეეძლებათ ქალაქში ჩამოსვლა.

1 დეკემბრის მორიგს კრებაზედ ქალაქის რწმუნებულთ მოილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ახალი სახელმწიფო გარდასახადი მეტად მძიმე ტვირთი იქმნება იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც საკუთარი მამული არა აქვთ ქალაქში და დაადგინეს: ვიშუამდგომლოთ, რომ ოზურგეთის მოქალაქებად მხოლოდ ისინი იქმნან ჩარიცხულნი, რომელთაც ან საკუთარი და ან საიჯარადრო მამული აქვთ ქალაქშიო. ამავე კრებამ მოილაპარაკა, რომ მოხმარებულ და გამოყენებულ იქმნას სარგებელი იმ 1,700 მანეთისა, რომელიც სახელმწიფო ბანკის კანყოფილებაში ინახება და 1898 წ. მეტი გარდასახადი გადახდეთ იმათ, რომელთაც ტრაქტირები აქვთ ქალაქშიო. საბჭოს კრებამ დაადგინა, რომ ვიდრე ქალაქის თვით მართველობისათვის საკუთარ შენობის აგების საქმე არ გამოირკვევა, ეს თანხა ისევ ბანკში ინახებოდესო; ტრაქტირებზედ გაწერილი გარდასახადი-კი შეუცვლელად იქმნა დატოვებული.

** ზემო აჭარა. უმაღლესის ბრძანებისამებრ, დიდი ხანი არ არის, რაც სოფ. ხულოში ორ-კლასიანი სასწავლებელი დაარსდა. სასწავლებელში სწავლა ამ წლის 1 სექტემბრიდგანვე უნდა დაეწყოთ, მაგრამ რაკი სახლი ვერ იშოვნეს თავისს დროზედ, აქაური სახლები თითქმის ყველა უფანჯრო, უღუმელო და მინგრეულ-მონგრეულია, — ამიტომ ოქტომბრის 15 ძლივს დაიწყეს, როდესაც მასწავლებელი ესედ-ალა-ისმაილ ალი-ზადე ნასირი ჩამოვიდა სოფ. ხულოს. სასწავლებელში პირველად 20 მოსწავლე დადიოდა და შემდეგ ნელ-ნელა ჰკლებულობდა მოსწავლეთა რიცხვი, ასე რომ ბოლოს ხუთი მოსწავლე-ღა დარჩა. ასეთი ამბავი იმიტომ მოხდა, რომ მასწავლებელმა მარტო სპარსული ენა იცოდა და მოსწავლეთ-კი ქართული. მასწავლებელმა რაკი ვერაფერი გააწყო, საცალა მოჰკურცხლა და დასტოვა უპატრონოდ სასწავლებელი. („ახ. მიმოხ.").

** სოფ. ვანი, (ქუთაისის მაზრა). სოფ. ვანში ის კუთხე, რომელსაც ეწოდება სახელად „ურიები", შესდგება ორმოც-და-ათიოდე დუქნისაგან. აქ მეტად აშვებულია ხალხი: კვირა არ გაივლის ისე, რომ ვინმე არ დასჭრან, ან თავი არ გაუხეთქონ, ან ცხენი არ დაუკლან. ერთის სიტყვით, ყოველ გვარს უწესოებას წააწყდებით თავზედ; სოფლის სამმართველო თუმცა იქვეა, მაგრამ მამასახლისი ვერას გახდება, რადგან, იმასაც შავს დღეს დააყენებენ. მეტად საჭიროა, რომ აქ პოლიციის მოხელე იმყოფებოდეს წესიერების დასაცველად. იმედია, ბაღდადის ბოქაული ბ-ნი ფალავა იშუამდგომლებს ვისთანაც ჯერ არს, რომ აქ იქმნეს გამოგზავნილი ბოქაულის თანაშემწე მაინც და ორიოდე ათისთავი.

** 8 დეკემბერს, კავკავში გარდაიცვალა დუშეთის მცხოვრებელი თინათინა საწირიშვილისა, რომელიც 110 წლისა იყო. „ყაზბეგის" სიტყვით, საწირიშვილს არავითარი ავადმყოფობა არ გამოევლო და მუდამ ჯანმრთელი იყოო.

** პირველ სექტემბრიდგან 13 დეკემბრამდე ქალაქმა სასანიტარო წესების დარღვევისა გამო 262 საჩივარი აღძრა. ამათში 238 საქმე უკვე გაირჩა და დამნაშავეთ გადაუწყვიტეს ჯარიმა 1 მანეთიდგან 50 მან. და ორ თვემდე დაპატიმრება.

## „შუამავალის" ამხანაგობის წევრთა საგანგებო კრება

14 დეკემბერს 1897 წლისას, საღამოს რვა საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში შესდგა საგანგებო კრება „შუამავლის" ამხანაგობის წევრთა. კრებას საკმაოდ დაესწრნენ წევრნი. კრების დაწყებისათანავე კრების თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ბ-ნი ა. ნ. ფურცელაძე, ხოლო მდივნად ა. მ. ახნაზაროვი.

კრებამ მოისმინა მოხსენება ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარის ვლ. აღნიაშვილისა, რომელიც, აღნიშნავს რა სხვა-და სხვა უწესოებას, ამხანაგობის მეთვალყურე კომისიას იმ აზრს წარუდგენს, რომ შეიცვალოსო დღევანდელი ადმინისტრატიული წეს-წყობილება ამხანაგობის მაღაზიაში. აღმორჩეულ იქმნას გამგეობის წევრებად სამი კაცი, ერთი სასყიდლით, რომელიც უნდა იყოს საქმის თავმდეგი, გამგეობის დადგენილებათა აღმასრულებელი და ყოველგვარ განკარგულების მიმცემი, ხოლო დანარჩენნი ორნი უსასყიდლოდ, საპატიო დირექტორებად, რომელნიც კვირაში ერთხელ ან ორჯელ შეიკრიბებიან მოსალაპარაკებლად და რომელთაც დანიშნული ექმნებათ °/₀°/₀ წმინდა მოგებიდგან. ვაჭრობის საწარმოებლად-კი დაქირავებულ იქმნენ ნოქრები. მეთვალყურე კომისია სრულიად დასთანხმებია ამ აზრს ბ-ნ ვ. აღნიაშვილისას და თავისის მხრივ დასძენს, რომ საჭიროა ბუხჰალტერი იქმნას ცალკე მოწვეული და ამხანაგობის გამგე განთავისუფლებულ იქმნას ბუხჰალტერიის წარმოებისაგანაო.

ამ მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. რამდენიმე წევრი კრებისა, ბ-ნ ი. მერკვილაძის მეთაურობით, სცდილობდა უარ-ეყოფინა კრებისათვის ეს წინადადება. კრებაზედ საკმაოდ გამოირკვა ის უწესოებანი, რომელნიც ჰსუფევდა ამხანაგობის მაღაზიაში. კრებამ ხანგრძლივისა და ცხარე კამათის შემდეგ, რომელმაც ნაშუაღამევის ორ საათამდე გასტანა, 51 ხმის უმეტესობით 9 ხმის წინააღმდეგ დაადგინა: შეწყნარებულ იქმნას მეთვალყურე კომისიის წინადადება და გაუქმდეს სასყიდლიან დირექტორების თანამდებობაო. ამავე დროს ამხანაგობის აწინდელმა დირექტორებმა ივანე კახეთელიძემ და იოსებ მახარობლიძემ უარი განაცხადეს თავისს თანამდებობაზედ. კრებამ საპატიო დირექტორებად ამოირჩია ბ-ნნი სამსონ წერეთელი და ილიკო ლომინაძე, ხოლო ამათ კანდიდატებად ვიქტორ მკერვალიშვილი და სოსიკო კოლელიშვილი. რაც შეეხება მეორე საკითხს, რომ შეძლება ამხანაგობისა გაძლიერდესო, კრებამ დაადგინა, ეს საგანი გადადებულ იქმნეს იმ დრომდე, ვიდრე ამხანაგობის წევრთა წლიური კრება არ იქმნება და ანგარიშს არ მოისმენენ წევრნი ამხანაგობის საქმეთა ვითარებისას.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ფარცხნალი.** სოფელი ფარცხნალი თავისის მდებარეობით, ბუნების მშვენიერებითა და მკვიდრთა ნივთიერის სიმდიდრითაც ხარაგოულის საზოგადოების ერთს საუკეთესო სოფელს შეადგენს. ამ სოფელში ორას კომლზედ მეტი მცხოვრები ირიცხება, რომლებიც უმეტეს ნაწილად მევენახეობასა და ხვნა-თესვას მისდევენ. ვაზის საზოგადო მტერმა — ფილოქსერამ აქაც იჩინა თავი, თუმცა ჯერ-ჯერობით ისე შესამჩნევად-კი არა, როგორც შორაპნის მაზრის სხვა სოფლებში. აქაური ღვინო თუმცა თხელი დგება, მაგრამ მაინც გვარიან ფასად იყიდება. საპალნე (თერთმეტი ორ-ბათმიანი ჩაფია) 25—30 მ. გადის. ეურძნის მოჩხვეა რომ იცოდნენ, როგორც, მაგალითად, სოფ. სვირში და სხვაგან იციან, მაშინ, რასაკვირველია, მეტ ფასად გაყიდოდა. ხვნა-თესვისა და მევენახეობის გარდა, აქაური მკვიდრნი თავიანთის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობისათვის სხვა საშუალებასაც ჰხმარობენ, რომელსაც ბარის სოფლების მცხოვრებნი მოკლებულნი არიან. ეს საშუალება გახლავთ სახელმწიფო ტყით და საბალახოებით სარგებლობა.

სოფელი ფარცხნალი ახალციხის მთების ტოტების ძირში მდებარეობს, ასე რომ ჩრდილოეთის მხრივ ამ სოფელს სხვა სოფელი აღარ აკრავს და პირდაპირ ახალციხის მთები საზღვრავს. აქედგან კაცი მაისის დღეში კიდევ ადრე გადავა ქ. ახალციხეში, თუმცა

---

# ფელეტონი

## ჭ ა ღ ა რ ა

(ეტიუდი)

(შემდეგი *)

### III

რაც ხანი გადიოდა და ახლოვდებოდა სადილის ჭამის დრო, ის დრო, როდესაც ოჯახის წევრნი თავს ერთად მოიყრიდნენ ხოლმე, მარიამს თან-და თან მღელვარება ემატებოდა. დიდი ხანი იყო ასეთი ჩქროლვა გულისა არ გამოეცადნა, მაგრამ როგორღაც-კი ენაცნობებოდა ეს სულიერი მდგომარეობა. ამასთანავე ერთად, ბუნდოვან სურათის მსგავსად, თვალ-წინ ეხატებოდა ის პირველი დღეები ჯვარის წერის შემდეგ, როცა იგი ელოდა ხოლმე ქმრის დაბრუნებას სამსახურიდგან.

დღეს კვლავ გამეორდა ცხოვრების პირობებით დაჩრდილული ნეტარი ტოკვა გულისა, რომელიც სიამოვნების ჰანგს აჟღერებდა. მარიამი მოუთმენელობით აღარ იყო — ერთი მალე გაიღოს კარი, ჩემმა ქალმა შემოირბინოს, მომეხვიოს და მითხრას: „დედა, მამა სადილად გვიცდისო".

მეორის მხრივ სირცხვილის ალი მთლად უდაგავდა ატამსავით აბუსუსებულს სახეს, რადგანაც მარიამს თავისი თავი არა-წმიდად მიაჩნდა ოჯახის წინაშე. იგი დარწმუნებული იყო, რომ ისე თამამად, ამაყად ვეღარ შეჰხედავდა ქმარსა და შვილს, როგორც გუშინ, გუშინ-წინ. მაგრამ მაინც ჰნატრულობდა, რომ მალე დამდგარიყო შეხვედრის წამი.

წამ-და-უწუმ საათს გადაჰხედავდა ხოლმე, კარებს უახლოვდებოდა, ხომ არ მოდიანო, ხელებს იფშვნეტავდა, ბოლთასა სცემდა ოთახში და ყველაფრით მოუთმენელობას იჩენდა.

საათი ხუთის ნახევარს აჩვენებდა, რომ ოთახში შემოირბინა ხტუნვითა და ღიღინით მისმა ქალიშვილმა და დედას მოეხვია. ნუცა (ასე ერქვა მარიამის ქალს), ვალოდიასი არ იყოს, მართლა პირ-წავარდნილი დედა იყო. მხოლოდ უცხოს რომ ენახა ისინი ერთად, მარიამი უფროსი და ეგონებოდა ჯერ კიდევ იმდენად ყმაწვილი და ნარნარი იყო.

— დედა, მამა სადილად გვიცდის...

— კარგი, ჩემო მტრედო, ახლავე... უპასუხა მარიამმა და სიყვარულით აღსავსე თვალები ნუცას შეავლო. თუმცა ყველანი ეუბნებოდნენ, — შენი ქალი ძალიან ლამაზია, შენა გგავსო, მაგრამ მარიამი არას დროს არ დაჰკვირვებია ამ სიტყვებს, რადგანაც მხოლოდ ის აინტერესებდა, ის ავსებდა კმაყოფილებით, როცა იმისს სილამაზეზე ლაპარაკობდნენ. ახლა-კი დიდის გულ-მოდგინებით აავლ-ჩაავლო თვალი ქალის წერწეტა წელს, ამობურთულ გულმკერდს დამერე სახეზე დააცქერდა.

— დედა, რა ყურადღებითა მსინჯავ. ცვლილება ხომ არა შემამჩნიერა? ჰკითხა გაკვირვებით ნუცამ.

— არა, ჩემო ძვირფასო... ისე... მესიამოვნება... უპასუხა მარიამმა და სახეზედ კმაყოფილების იერმა გადაურბინა. მართლა, მე მგევხარ აი...

— განა აქამდის არ იცოდი?

— როგორ არა... აბა, მოდი, სარკეში ჩავიხედოთ... დედა-შვილნი ერთმანეთს აეკვრნენ გვერდში, მკლავები ერთი მეორეს წელზედ შემოაჭდეს და სარკეს მიუახლოვდნენ.

საუცხოვო სურათი გეხატებოდათ თვალ-წინ, როცა ამ დედაშვილს უმზერდით. ერთის შეხედვითაც-კი დარწმუნდებოდით, რომ დიდის ნათესაურის კავშირით იყო გადაბმული ეს ორი არსება, რომელთა შორის ერთი მომწიფებულ, სრულიად გაფურჩქვნილ ყვავილს მიემსგავსებოდა, მეორე-კი ახლად ჩახვეულ-ჩაქსოვილს კოკორს ამ ყვავილისას; რომელსაც ჯერ კიდევ სრულიად არ შეჰშრობოდა უმანკო, კამკამა ცვარი დილისა; პირველი იყო შუადღე საღამოსკენ გადამზირალი, მეორეს კი მხოლოდ განთიადის უსუსურობისათვის დაეღწია თავი და ერთი გადახტომა-ღა აკლდა, რომ სრულ დილად გარდაქმნილიყო.

— დედა, რა ლამაზი რამა ხარ! ახალგაზდა... წამოიძახა აღტაცებით ქალიშვილმა, როცა იმათი გამოხატულება სარკეში გამოჩნდა, თან ფეხის ჩლიქებზედ შედგა და ლოყაზედ აკოცა.

— რა დროს ჩემი ახალგაზდობაა, ჩემო მშვენიერო?!.

— რას ამბობ? როგორ თუ რა დროსია? აბა ვინ იფიქრებს, რომ შენ ჩემი მშობელი ხარ? უეჭველად და ეგონებით... მერე რა ნაირად მიხარიან, რომ ასეთი ლამაზი და ყმაწვილი დედა მყევხარ, — და ნუცა ნუკრივით ამოეკრა მარიამს და ნათელით აღბეჭდილი სახე იმისაკენ შეატრიალა. აი, ცოტა მამა მოგვიბერდა, — დაიწყო მცირე სიჩუმის შემდეგ ნუცამ, ამასთანავე აღტაცებული კილო ლაპარაკისა დაუცხრა, სახემ ნაღვლიანი გამომეტყველება მიიღო და თვალებს სევდის რკალი შემოეხლაკნა.

— მამა?! წამოიძახა აკანკალებულის ხმით მარიამმა.

— განა მართლა?!. მე არ შემიმჩნევია-რა... მარიამ სცდილობდა დაეჩრდილა როგორმე მღელვარება, რომელმაც არსება მთლად აუგრიგალა; სარკემაც უჩვენა, რომ ძალიან იყო გაფითრებული.

— როგორ-არა, დედა!.. საწყალი სულ დანაღვლიანებულია, დაფიქრებული... ხან და ხან ლაპარაკის დროს ფიქრები ისე გაიტაცებს ხოლმე, რომ თითქმის ყრუს ემსგავსება... თვალები თუმცა ჩემკენა აქვს მოპყრობილი, მაგრამ სახეზედ ვატყობ, რომ ყურს არ მიგდებს... მერე თვალები სულ სევდით ებურება ხოლმე... რა ვქნა, რა უნდა იყოს ამის მიზეზი? — სამსახურში კარგად მიდის... ყველას უყვარს, პატივსა სცემენ... ჩვენ ხომ ასე ვაღმერთებთ...

აქ მარიამი შეკრთა და სიკვდილსავით გაფითრებული შვილს განშორდა.

— რა იყო, დედი? სახეზედ სიყვითლემ გადაგკრა...

— არაფერი... მ... მ... მ... ფეხის ძარღვი გამენასკვა, — გაიმართლა მა-

---

*) იხ. „ივერია" № 258.

ახალციხის მთების ჯრა მცირედი ნაწილი ამ ექვსიოდე წლის წინად კერძო კაცებმა დაისაკუთრეს, მაგრამ უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფო მამულად ირიცხება. ამ სახელმწიფო მამულში სოფელ ფარცხნალის მკვიდრნიც, როგორც სხვა მახლობელ მცირე სოფლებისა, სათესით ჰხდიან უჯარს, ჰზიდავენ სათიცრე ფიჭვის ხეებსა და სხვა-და-სხვა სახლის მასალას. ძვირად მოხდება, რომ შუათანა შეძლების გლეხმა ერთს ზაფხულს ხუთის თუმნის უჯარი მაინც არ გასადოს. სწორედ ამ შემთხვევით აიხსნება ის გარემოებაც, რომ სოფელ ფარცხნალში ჩალით დახურულს და ძელურს სახლს ვერა ჰნახავთ. აქ იმისთანა გლეხებიც ბევრნი არიან, რომელთაც ორი, სამი უდგიათ სახლი, სასტუმრო ცალკე, საჯალაბო ცალკე და სამზარეულო კიდევ ცალკე. ერთის სიტყვით თამამად შეუძლიან კაცმა სთქვას, რომ სოფელი ფარცხნალი ნივთიერად ხარაგაულის საზოგადოების სხვა სოფლებზედ გაცილებით წინა სდგას.

მხოლოდ, სამწუხაროდ, სწავლა-განათლების მხრივ ესევე აღარ ითქმის ამხელა სოფელში აქამდის ერთის სამრევლო სკოლის დაარსებაც ვერ მოუხერხებიათ. მართალია, ს. ხარაგოულში არსებობს სამინისტრო სკოლა, მაგრამ ეს სკოლა მთელის საზოგადოების გლეხობისაა და, რა თქმა უნდა, რომ ყველა მოთხოვნილების სურვილს ვერ აკმაყოფილებს. ამას სოფელი ფარცხნალიც კარგადა ჰხედავს და კიდეც მოწადინებულია საკუთარი სამრევლო სკოლა დაიარსოს, მაგრამ მოთავე, გულშემატკივარი და საქმის მოყვარული ადამიანი არა ჰყავს. სოფელი ფარცხნალი არც ისე საწყალი და ღარიბია, რომ შეგნებული კაცები სრულებით არ მოემებნებოდეს (ამ სოფლის მკვიდრთა შორის სამს უნივერსიტეტში აქვს სწავლა დამთავრებული, ერთს სასულიერო აკადემიაში და სამსაც საშუალო სასწავლებლებში), მაგრამ იმათ ჩვენის ქვეყნის სხვა-და სხვა ქალაქები და სოფლები აქვთ შეხვედრილი სამოღვაწეოდ. ერთად ერთი იმედი აქ სკოლის დაარსებისა დამყარებულია ამ სოფლის პატივცემულ მოძღვარზედ მ.დ.ს., რომელსაც ამ საქმისათვის სწავლა-განათლება ხელს უწყობს. ეს პატივცემული მოძღვარი აგერ ათი წელიწადი გადის, რაც ჩვენს სოფელშია და იმედი სკოლის დაარსებისა იმედადვე რჩება და საქმის თვალით დანახვას ვერ ვეღირსეთ. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ნივთიერი სიღარიბე ან ეკკლესიისა და ან მრევლისა? სრულიადაც არა. სოფლის ფარცხნალის მაცხოვრის ეკკლესიაზედ არის ზედ მიწერილი კახორის წმ. გიორგის ეკკლესია, რომელსაც წელიწადში სულ უკანასკნელი ოცდა ათ თუმნამდის ეწირება (მარტო ერთს დღეს, სახელდობრ, 15 გიორგობასთვეს ამ ეკკლესიას ოც თუმნამდის შეწირულება უგროვდება). მოთავე რომ იყოს, სულ ადვილად შეიძლება ეს ფული მასწავლებელს ჯამაგირად დაენიშნოს და ამ ნაირად საქმე გაზაღდეს მაგრამ ვის სტკივა ფარცხნალებისათვის გული! კარგი იქნება, რომ იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე, მღვდელი მ. მ. გელეჯვერიძე ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს და ფარცხნალებს სამრევლო სკოლას დაუარსებდეს.

მ. ფარცხნანელი

# რუსეთი

სასოფლო-სამეურნეო საბჭოს უკანასკნელმა სხდომამ იმ პროექტის განხილვა და შემუშავება დაამთავრა, რომელშიაც მოთავსებულია ის „წესები, თუ როგორ უნდა იქმნას საკუთარის მამულის მოსარწყავად, და ჭაობების ამოსაშრობად სხვის მამულზედ არხები ამოჭრილი და რუები გაყვანილი“.

— უმაღლესს სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საჭიროა ყოველ სამრევლოში განსაკუთრებული სიები იქმნას შემოღებული, რომელშიაც ვრცლად უნდა აღინიშნოს ხოლმე ცნობები მრევლის ყოველის წევრის შესახებ, სახელდობრ: დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება და სხვანი.

— იურიევის საზეითლო ინსტიტუტის საბჭოს განზრახვა აქვს თურმე შუამდგომლობა დაიწყოს იმის შესახებ, რომ საჭიროა ინსტიტუტს ერთის წლის კურსი კიდევ მოემატოს, რადგან ოთხის წლის განმავლობაში სტუდენტები კარგად ვერ ითვისებენ საზეითალო მეცნიერებასო.

— სამთო ინჟინერთა დასახმარებლად, რომელთაც სწავლა ინსტიტუტში აქვთ დამთავრებული და განზრახვა აქვთ მთა-მადნის ქარხნები დაათვალიერონ მეტის გამოცდილების შესაძენად, ხაზინას 6,000 მან. გადაუდვია.

— საერო განათლების სამინისტრომ ამ დღეებში განმარტა, რომ მეაფთიაქეთა თანაშემწე ქალებს ნება არა აქვთ უნივერსიტეტში შევიდნენ ფარმაცევტის ხარისხის მისაღებადაო.

— უმაღლესს სასულიერო უწყებას განზრახვა აქვს განსაკუთრებული წესები გამოსცეს ებრაელთა მონათვლის შესახებ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო-ქონებათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ტყე მხოლოდ იმ გაჩეხილ და გავერანებულ ადგილებში იქმნას გაშენებული, სადაც დიდი მოთხოვნილებაა ტყის ყოველგვარ მასალისაო.

— სამთო დეპარტამენტში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ როგორმე გაუმჯობესებულ იქმნას იმ მუშათა ყოფა-მდგომარეობა, რომლებიც ქვა-ნახშირის ქარხნებში ჰმუშაობენ.

# უცხოეთი

**ავსტრია.** გრაფმა ბადენმა დამარცხებისა და მინისტრ-პრეზიდენტობაზედ ხელის აღების შემდეგ არამც თუ არ დაჰკარგა სახელი და პატივის ცემა ჩეხთა, პოლონელთა და ავსტრიის სხვა სლოვიანთა შორის, არამედ ამ დღიდგან ის უფრო ყველას სათაყვანებელი და სადიდებელი შეიქმნა. ამ დღეებში ბადენი რუსეთიდგან, სადაც სიძესთან იყო თავისს მამულში, დაბრუნდა ბუსკს. გზაზედ გლეხ-კაცები ათასობით გამოდიოდნენ და დიდის დიდებით ეგებებოდნენ გრაფს. თითქმის ყველგან სოფლის საზოგადოებათ პურ-მარილი მიართვეს. ხოლო ბუსკში ლვოვიდგან მთელი დეპუტაცია, რომელიც 170 კაცისაგან შესდგებოდა, მოვიდა გრაფ ბადენის დასახვედრად და სლოვინთა სასარგებლო მოღვაწეობისათვის მადლობის გარდასახდელად. დეპუტაციის მოთავემ თავადმა ადამსაგამ წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც დაწვრილებით აღნიშნა გრაფის ბადენის საპოლიტიკო მოღვაწეობა. ბადენმა ჯერ მადლობა გარდაუხადა დეპუეციას და შემდეგ სთქვა, რომ მთელის ჩემის მოქმედების დედა-აზრი ის იყო, რომ ავსტრიის სხვა-და-სხვა ერთა შორის თანასწორობა დამემყარებინა. ყოველთ უწინარეს მე იმასა ვცდილობდი, რომ ჩეხებისთვისაც ისეთი უფლებანი მიმენიჭებინა, როგორიც ამ ჟამად პოლონელთა აქვთ. მაგრამ ამასთანავე სრულიად არ მქონდა აზრად ნემეცთა დამცირება და დაჩაგვრა, როგორც ამას ბევრნი ჰფიქრობდნენ. ნემენცებისთვის მე არაფერი არ წამირთმევია. განკარგულება ენათა შესახებ ჩეხიისთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა. იმის გაუქმება ეხლა ყოვლად შეუძლებელია. მე იმედი მაქვს, სთქვა ბოლოს გრაფმა, რომ ჩეხები უწინდელებრ მოიქცევიან და ერთხელვე გამორკვეულს გზას მოქმედებისას არ გადაუხვევენ. ხოლო რაც შეეხება ნემენცებს, ისინი მალე დაწყნარდებიან და თითონვე ეცდებიან, რომ პარლამენტში წესიერება აღდგენილ იქმნასო.

— ნემენცთა დასის მეთაურები და იმათი მომხრე გაზეთები ეხლავე დიდს უკმაყოფილებას აცხადებენ ახალის მინისტრ პრეზიდენტის ბარონ გაუჩის წინააღმდეგ, რომელიც, მათის სიტყვით, ისე არ იქცევა, როგორც უნდა იქცეოდეს. უკმაყოფილონი არიან იმითი, რომ გაუჩმა ჯერ არ გააუქმა გრაფის ბადენის განკარგულება ენათა შესახებ და არ გადააყენა თანამდებობიდგან გრაფის ბადენის მომხრეები, როგორც, მაგალითად ბოჰემიის ნამესტნიკი გრაფი კუდენგოვე და ლვოვის გუბერნატორი თავადი სანგუშკო. „გრაფი ბადენი აღარ არის, მაგრამ წესწყობილება ისევ ძველია“, სჩივიან გაზეთები: „ყველა ეს იმას ამტკიცებს, რომ ბარონ გაუჩს არ უნდა თავი დაანებოს იმ პოლიტიკას, რომელსაც ბადენი ადგა. შემდეგშიაც თუ ასე მოიქცა, მინისტრ პრეზიდენტი ვერაოდეს ვერ შეურიგდება და თავის მომხრედ ვერ გაიხდის ნემენცებს. მარტო გრაფის გადაყენებით ჩვენ ვერაფერს მოვიგებთ, თუ იმის მიერ დაწყებული საქმე არ გაუქმდება. ჩვენ პირადად გრაფს ბადენს-კი არ ვებრძოდით, არამედ იმ დედა აზრთა, რომელთა განხორციელებაც იმან მოიწადინა და რომელიც ყველაზედ ნათლად ენათა შესახებ განკარგულებაში გამოიხატა. ბარონმა გაუჩმა არაფერი არ შესცვალა. კაცი ვერც-კი გამოარკვევს, ვისი მომხრეა იგი, ჩვენი, თუ ჩვენის მოწინააღმდეგების; ჩვენ ურჩევთ მინისტრ-პრეზიდენტს, პირდაპირ გამოაცხადოს, რა აქვს აზრად და რა სწადიანო“.

# დამაჯერდი

დიდად სამწუხაროა, რომ ნიჭი ასე იშვიათად შეეთვისება ხოლმე სულიერს ღირსებას.

მარიამ ებნერ-ეშენბახისა

* * *

ერი უკანონოდ იგივეა, რაც ადამიანი რწმენასა და აზრს მოკლებული.

ზაზარია

* * *

ავსა კაცსა ავი სიტყვა და ბეზღობა უჩანს უნჯად.

იოსებ ტფილელი

---

რიამმა თავი· ფეხისა·კი რა მოგახსენოთ და გულის ძარღვი რომ გამოენასკვა, ამას ჩვენ თითონვე ვუმოწმებთ.

ნუცა დაკმაყოფილდა ამ პასუხით, მხოლოდ მზრუნველობით კვლავ დაეკითხა, როცა სასო-მიხდილი მარიამი საწოლზედ ქშენით მძიმედ დაეშვა.

— დედი, თუ ძალიანა გტკივა, მაშოს დავუძახებ, დაგიზილოს…

— არა, ჩემო გვრიტო… არა უშავს-რა… გაივლის, უპასუხა სვენებ-სვენებით მარიამმა, რომელსაც სუნთქვა ეკვროდა. მაშ შენ ამბობ, განაგრძო ფიქრის შემდეგ, რომ მამა ძალიან ნაღვლიანობს? რატომ აქამდის არ მითხარი? .

— ვაპირებდი, მაგრამ როგორღაც ვერ მომიხდა… მერე დედი, შენ ისე გართული ხარ საზოგადოებაში… ვერც კი გხედავ რიგიანად… ამასთანავე მეგონა, შენ თითონ გეცოდინებოდა…

— კარგი… კარგი… დღესვე მოველაპარაკები, გააწყვეტინა სიტყვა მარიამმა, რადგანაც ნუცა მეტად საჩოთირო საგანს შეეხო.

— ძალიან კარგს იზამ, თორე მამა ისე მეცოდება, თითქოს ობოლი იყოს… ნუცას თვალებზედ ცრემლები აკამკამდა, სახე კი ღიმილით ჰქონდა განათებული, როგორც მაისის მზიანი დღე წვიმით მონამული.

ქალიშვილის სიტყვები მარიამს გულს მოჰხვდა და თვით-მხილების ნეშტარი უფრო გაამწვეტა, ასე რომ სინიდისმა მეტად მგრძნობიარედ დაუწყო წკენტა.

მარიამი მიჰხვდა,—რად იყო ისე სევდით მოცული, დაჩაგრული მისი ქმარი… არა, სხვა მიზეზი არა იქნება-რა,—ჰფიქრობდა კნეინა, როდესაც ისა და ნუცა სასადილო ოთახისაკენ მიდიოდნენ: ყველაფრით ბედნიერია… მხოლოდ… მხოლოდ… და მარიამს ფიქრითაც-კი ვერ ეთქვა, თავისს თავისათვის ის, რაც ამ „მხოლოდ“-ს უნდა მოჰყოლოდა რიგით. გრძნობით-კი ჰგრძნობდა, რომ ყოვლის ამისი თვით იგი იყო დამნაშავე.

სადილზედ ყველას მოწყენილობა ეტყობოდა, ნუცას გარდა, რომელიც თავისის მასწავლებლების შესახებ ოხუნჯობდა. ოჯახის უფროსი თ. ელიზბარი—მარიამის ქმარი—იქნებოდა ასე 40—45 წლის კაცი, მაგრამ თმა—წვერ-ულვაში უდროვოდ გასჭაღარავებოდა და სახეც აქა იქ ხაზებს დაეღარათ, მხრებშიაც ცოტა მოხრილიყო. გარნა სახე მეტად მიმზიდველი და მარილიანი ჰქონდა— მაღალი შუბლი, სწორე გამოსურმული ცხვირი და ჰკვიანი, აზროვნებით აღსავსე თვალები. მხოლოდ ეს იყო, რომ იმ თვალებში რაღაც უილაჯობა ეტყობოდა, როგორც მუშას მძიმე ტვირთის ქვეშ, და ცხოველი ნაპერწკალი, ის ცხოველი ნაპერწკალი, რომელიც სანთელსავით ანათებს კაცის სახეს, აცოცხლებს ყოველს ნაკვთს, ათასგვარად ამოძრავებს, როგორღაც თითქოს მიმქრალიყო, მინელებულიყო და აღარ არღვევდა ერთ-ფეროვან მწუხარე მეტყველებას. ამ გამომეტყველებას უფრო აორკეცებდა მკრთალი ფერი, რომელიც ელიზბარის სახეს გადაჰკვროდა.

მარიამისა, ელიზბარისა და ნუცას გარდა სასადილო მაგიდას ორი სხვა ადამიანიც შემოსჯდომოდა — დედა ელიზბარისა, ანუ „ბებია“, როგორც ყველა ეძახდა, და ნუცას „გუვერნანტკა“.

თ. ელიზბარი—გაჩუმებული იყო, როგორც ყოველთვის და თავ-აუღებელი თავისს თეფშს დაჰყურებდა, თითქოს კისერზედ ვიღაცა დასჯდომია და არ უშვებს თავი მაღლა აიწიოსო. მხოლოდ, ძალიან იშვიათად თუ აიხედავდა ზევით, ისიც ნუცას სიცილის გამო. ამ დროს მას ტუჩებზედ ღიმილი უკრთოდა, მაგრამ ამ ღიმილსაც როგორღაც ცალ-ყბაობა ეტყობოდა, როგორც ბურუსიან დღეში მზე რომ უცბად გამოაჰკყიტებს თვალს, მაგრამ ნისლი ანახევარკეცებს ხოლმე იმისს მადლიანს სიცხოვლეს.

ბებიამ, რომელიც ის იყო ნუცამ მადაზედ მოიყვანა, ხელი დაავლო კოვზსა.

„გუვერნანტკა“-კი თავისის ბეცის თვალებით წვენს დასცქეროდა, თანდა-თან ახლო მიჰქონდა ცხვირი მათლაბასთან; ბოლოს იმდენად დაუახლოვდა, რომ სუნთქვამ აბილტებულტა წვენი, რის გამოც ცხვირზედ ცხელი წვეთი მოჰხვდა და „ვაის“ ძახილით კისერი უკან გადააქნევინა.

ამასთან ერთად ოთახში ნინუცას ზარისებურმა სიცილმა „გაიბზრიალა.

მარიამი ღრმად იყო დაფიქრებული; წვენი ისე გაეყინა, რომ ხელი არ უხლია. ორჯერ, თუ სამჯერ გადახედა ქმარს და იმის გამხდარის, ფერ-მკრთალის სახის დანახვამ, გული მოუწვა, მოუწამლა.

— რა ზომამდეა პატიოსანი,— ჰფიქრობდა მარიამი: ასე იტანჯება, აწამებს თავისს თავს და აბა, ერთი სიტყვით თუ გამახსენოს ჩემი საქციელი?!. ღმერთო! მე-კი ასე, თვალებ აბლესილი, შეუბრალებლად ვჯალათობდი!..

ორჯელ თუ სამჯერვე მარიამმა თვალი მოჰკრა ქმრის თვალებს, რომელნიც ცოლისაკენ გაემართა, სიყვარულით მოზღვავებულნი, და ამ გამოხედვაში ქალმა სრული პატივება აღმოიკითხა. ამ გარემოებამ მარიამი გაათამამა, გაამხნევა… აქამდის ეშინოდა,—ვაი თუ ვძულდე, აღარ მიიღოს ჩემი თანაგრძნობაო, მაგრამ ახლა დარწმუნდა, რომ ქმარს კვლავინდებურად უყვარდა და თუ უცხოსავით ექცეოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თვით მევე გავიწიე განზედ, მევე მოვსპე ადრინდებული ერთსული, ერთგული დამოკიდებულებაო.

ამიტომაც მარიამმა გარდასწყვიტა, პირველ შემთხვევისათანავე ჩემ ქმარს მოველაპარაკებიო.

ამასობაში სადილიც გათავდა და ყველანი თავ-თავიანთ ოთახისაკენ წავიდ-წამოვიდნენ.

ილია ელეფთერიძე

(დასასრული იქნება).

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის გაზეთებში დაბეჭდილია ერთი საკვირველი და საოცარი ამბავი.

ნიუ-იორკის შტატში, ქალაქ ბირმინგამში ჩამოვარდა ერთი აეროლიტი. პროფესორი იერემია მაკდონალდი თავისს სახლში დაბრუნდა დილა ადრიანად და დაინახა, რომ იმის სახლის მახლობლად ერთი დიდი აეროლიტი ჩამოვარდა და მიწაში ჩაიფლო. შემდეგ მიწა გათხარეს და ეს ჰაეროლიტი ამოიღეს. აღმოჩნდა, რომ რაღაც თეთრის ლითონისაგან იყო გაკეთებული და ჯერ ისევ ცხელი იყო. დააცადეს ვიდრე გაცივდებოდა და გასტეხეს და ჰნახეს შიგ ლითონის ფიცარი, რაღაც უცნაურის ასოებით ზედ-წარწერით. პროფესორმა მაკდონალდმა სთქვა, ეს რაღაც ქვა უეჭველად აეროლიტი არის, მაგრამ ამ გვარი აეროლიტი ან ამის მზგავსი ჯერ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო. პროფესორი მაკდონალდი დარწმუნებულია, თურმე, რომ ეს აეროლიტი რომელსამე სხვა პლანეტიდგან არის გამოგზავნილი და ფიცარზედაც მთელი ეპისტოლე უნდა იყოს დედამიწის მცხოვრებთადმი მოწერილიო. ამ ჰაეროლიტის გასინჯვის ნება ყველასა აქვს ამ ჟამად, შემდეგ-კი საგეოლოგიო კოლექციათა შორის შეინახავენ უმაღლესს სასწავლებელში.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერ ბევრ ადგილას უკვე შემოიღეს თვით-მოძრავი ეტლები. განსაკუთრებით ძლიერ ბევრია ასეთი ეტლი ორეგონის შტატში და ამიტომ ცხენები სრულებით აღარ არის საჭირო. პატრონებმა თავი მიანებეს და ცხენის ჯოგები თავისუფლად დაეხეტება მინდვრებში. ეხლა ამ უპატრონო ცხენებს პატრონები გამოუჩნდნენ. ევროპიდგან მისულან აგენტები, იჭერენ ცხენებს, ჰხოცავენ, ხორცს ამარილებენ და ევროპაში ჰგზავნიან. ეს აგენტები აუარებელ ცხენის ხორცს იშოვნიან მუქთად ამერიკაში, რადგან იქ თანდათან ყველგანა ვრცელდება თვით-მოძრავის ეტლის ხმარება და, მაშასადამე, ცხენები სრულიად აღარ იქმნება საჭირო.

## ალფონს დოდეს გარდაცვალების ამბავი.

ალფონს დოდეს გარდაცვალების ამბავს ასე იწერებიან დეპეშით პარიჟიდგან:

დოდე კითხულობდა თავისის ახალის რომანის კორექტურას და საღამოს 8 საათამდე კაბინეტში იყო. მერე კაბინეტიდგან გამოვიდა სადილად. სადილის დროს ჰკითხა თავისს შვილს ლეონს, ახალი ამბავი ხომ არა არის რა დრეიფუსის საქმის შესახებო და ზოლა კიდევა სცდილობს თუ არა დრეიფუსის გამართლებასაო. ლეონმა ვერც-კი მოასწრო პასუხის მიცემა, რომ დოდემ მხოლოდ ერთხელ ამოიკვნესა და თავი გადაეხარა და დაეყრდნო ცოლის სკამის ზურგზე. დოდეს შვილებმა იმ წამსვე მამა ლოგინზე დააწვინეს. ერთსა და იმავე დროს მოვიდნენ მკურნალები პოტენი, ჟილი და მახლობელ წმ. კლოტილდას ეკკლესიის მღვდელი. მკურნალმა ჟილმა ელექტრონის მანქანა მოიტანა, მაგრამ ამაოდ ეცადა დოდე გაეცოცხლებინა. დოდეს მიერ უკანასკნელად დაწერილი იყო მოსაწვევი ბარათები თავისს მეგობრებთან, რომლებსაცა სთხოვდა, საშობაოთ ჩემს ახალს სახლში მეწვიეთო.

ალფონს დოდეს გვამის დასაფლავების დროს თავი მოიყარეს პარიჟის ყველა მწერლებმა, ხელოვნების სარბიელზე მოღვაწეებმა და დიდძალმა ხალხმა. კუბოს, რომელიც შემკობილი იყო ყვავილებით, გარს ეხვივნენ ზოლა, ლემეტრი, დრუმანი და სხვა წარჩინებულნი მწერალნი. კუბოს წინ მიუძღვოდა ეტლი, სავსე მშვენიერის გვირგვინებითა, გაზეთების რედაქციებისა, თეატრებისა, სტუდენტებისა და პარიჟის ქალაქის თვით-მმართველობის მიერ გამოგზავნილებით. განსვენებულის ოჯახობის სურვილისამებრ, დოდეს გვამის დასაფლავების დროს სიტყვა წარმოსთქვა მხოლოდ ზოლამ, ვითარცა ყველაზედ უფროსმა განსვენებულის მეგობართა შორის.

## ახალი წიგნები

ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ ოცხანელის მიერ შედგენილი და ძმათა თავართქილაძეთა გამოცემული ახალ-სენაკს ქართული 1898 წლის კედლის კალენდარი. კალენდარზედ ძალიან მკრთალად დაბეჭდილია განსვენებულის მწყემსთ-მთავრის გაბრიელის სურათი. კალენდარში მოყვანილია სადღესასწაულო ცნობები ქართველთა და კათოლიკეთა შესახებ, მთვარის ანგარიში, მზის ჩასვლისა და ამოსვლის დრო, ხოლო მეორე პირზედ დაბეჭდილია საგულისხმიერო აზრები, ნაკვესები, დამაკვირდი და შაირები, კალენდარი პატარა ზომისაა და ჰღირს 30 კაპ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 დეკემბერი

**პეტერბურგი.** რადგანაც გაზ. „სიბირი“ მავნე მიმართულებას დაადგა, რაც განსაკუთრებით ამ გაზეთის მე 137 და 146 ნომრების მოწინავე წერილებიდგანა სჩანს, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გამოეცხადოს ამ გაზეთს მეორედ გაფრთხილება.

**ლიონი.** 13 დეკემბერს მარსელ-პარიჟის ლიანდაგზედ ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. ხშირის ბურუსისა გამო მატარებელს, რომელსაც ალაყი წაუხდა, დაეჯახა უკან მომავალი მატარებელი. მოკვდა სამი, დაიჭრა 15. მოკლულთა და დაჭრილთა შორის უცხო-ქვეყნელი არც ერთი არ არის.

**იოკაჰამი.** პარლამენტის მოქმედების დაწყებამდე წარმოთქმულ სეფე-სიტყვაში მიკადომ განაცხადა, რომ ყველა სახელმწიფოსთან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვსო. აწინდელი საპოლიტიკო მდგომარეობის შესახებ მიკადოს არა უთქვამსრა.

**ვაშინგტონი.** კაბინეტის ერთის წევრის სიტყვით, საბჭომ გადასწყვიტა თვალ-ყური ადევნოს საქმეთა მსვლელობას ჩინეთში, იმ აზრით, რომ ამერიკის ინტერესები დაიცვას. საბჭოში ისეთი აზრები წარმოითქვა, რომელნიც შეუძლებელ ჰყოფენ ინგლისსა, შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის კავშირს.

15 დეკემბერი

**ტიკიო.** რადგან ეჭვს გარეში იყო, რომ წინადადება, — მთავრობას უნდობლობა გამოეცხადოსო — შეწყნარებული იქმნებოდა, ამიტომ 13 დეკემბერს მთავრობამ პალატა დაითხოვა.

**მასსოვა.** გუშინ კასსალა ეგვიპტელებს გარდაეცა.

**ჩიკაგო.** „Colossem“-ს შენობა, სადაც სახელოსნო გამოფენა იმყოფებოდა, დაიწვა 9 კაცი დაიღუპა და 40-დე დაშავდა. ზარალი 700,000 დოლარამდეა აღრიცხული.

**პარიზი.** „Pothuau“-ს და „Dupuy de Bôme“-ის გემების აფიცრებმა, რომელნიც პრეზიდენტს ფორს ახლდნენ რუსეთში, სამხატრო ალბომი შეუკვეთეს და ჰსურთ იგი რუსეთის იმპერატრიცას მიართვან.

პეტერბურგის ბირჟა, 12 დეკემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $211^{3}/_{4}$ |
| $4^{1}/_{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 101 |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | 103 |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^{3}/_{4}$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 102 |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^{3}/_{4}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგ დოებისა . . . | $99^{3}/_{4}$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $296^{1}/_{4}$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 256 | — „ | — „ |

## განცხადებანი


**ნ უ ს ხ ა**

ქუთაისის მაზრის სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცელთა.

გამოსულია მეორმოცდა მეორე ტირაჟში, რომელიც მოხდა 1897 წ. 24 ნოემბერს იმ გირავნობის ფურცლის №№ დამატებით, რომელნიც წარსულ წლების ტირაჟში გამოვიდნენ, მაგრამ ფულის შემოსატანად არ იყვნენ წარდგენილნი.

გირავნობის ფურცელნი, გამოსულნი მე-42 ტირაჟში.

ექვს პროცენტიანი (6%) ფურცლები $43^{1}/_{2}$ წლის ვადით.

1000 მან. ღირსებისა.

4 სერია №№ 2 და 3.
5 „ № 3.
7 „ № 35.
უკანასკ. ს. №№ 325, 828, 885, 886 და 887.

500 მან. ღირსებისა.

5 სერია №№ 74 და 75.
7 „ № 6.
უკანასკ. ს. №№ 440, 505, 549 და 550.

100 მან. ღირსებისა.

5 სერია №№ 96, 98 და 103.
6 „ №№ 23, 25 და 26.
7 „ №№83,94 და 101.
უკანასკ. ს. №№ 1210, 1211, 1214, 1215, 1354, 1491, 1492, 1526, 1705, 1707 და 1709.

$18^{7}/_{12}$ წლის ვადით.

1000 მან. ღირსებისა.

8 სერია №№ 278, 280, 281, 282, 286 და 291.
უკანასკ. ს. №№ 1010, 1064, 1514 1515, 1516, 1517, 1519, 2131, 2132, 2133, 2135, 2431,, 2432, 2433, 2434, 2964, 2966 3103, 3252, 3253, 3324, 3325, და 3326.

500 მან. ღირსებისა

9 სერია №№ 357, 364, 381 და 383.
უკანასკ. ს. №№ 466, 480, 1057, 1114, 1115, 1227, 1269, 1271 და 1272.

100 მან. ღირსებისა.

7 სერია №№ 1, 248, 250, 258, 259, 263, 270 და 271.
უკანასკ. ს. №№ 1323, 1324, 1490, 1491, 1498, 1501, 1805, 1842, 1843, 2522, 2523, 2524, 2525, 2531, 2532, 2536, 2776, 2777, 2802, 2803, 2804, 2805, 2907, 2908, 2909, 2910, 3028, 3029, 3030, 3031, 3036, 3037, 3038, 3066 და 3067.

ხუთ პროცენტიანი (5%) ფურცლები $48^{8}/_{12}$ წლის ვადით.

1000 მან. ღირსებისა.

1 სერია № 37.
4 „ №№ 178, 179, 180, 181, 182 და 183.

500 მან. ღირსებისა.

3 სერია № 124.
6 „ № 270.
9 „ № 356.

100 ღირსებისა.

3 სერია №№ 504, 505, 506 და 507.
4 „ № 546.
5 „ №№ 676, 677, 678 და 679.
6 „ № 862.
7 „ №№ 940, 941, 942 და 943.
8 „ №№ 972 და 973.
9 „ №№ 1086, 1087 და 1088.
10 „ №№ 1150, 1151, 1152, 1153 და 1154.

$19^{11}/_{12}$ წლის ვადით.

1000 მან. ღირსებისა.

1 სერია №№ 46, 65 და 66.
2 „ №№ 187, 188, 189 და 190.
3 „ №№ 241 და 244.
5 „ № 373.
6 „ №№ 465 და 466.
8 „ № 567.

500 მან. ღირსებისა.

1 სერია №№ 7 და 8.
2 „ №№ 154, 155 და 158.
4 „ № 317.
5 „ № 333.
6 „ № 415.
7 „ № 536.

100 მან. ღირსებისა.

1 სერია №№ 21, 22, 23, 24, 25 და 26.
2 „ №№ 266, 267, 268, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280 და 281.
3 სერია №№ 425, 426, 427, 453, 456 და 457.
4 „ №№ 721 და 722.
6 „ №№ 1093, 1094 და 1095.
7 „ №№ 1258, 1259 და 1334.
8 „ №№ 1340 და 1341.

$36^{4}/_{12}$ წლის ვადით.

1000 მან. ღირსებისა

1 სერ. №№ 41 და 42.

500 მან. ღირსებისა.

1 სერ. № 35.

100 მან. ღირსებისა.

1 სერ. №№ 59, 60 და 61.
3 №№ 456 და 457.

ფულის მიღება გირავნობის ფურცლებზედ, რომელნიც ამ ტირაჟში გამოვიდნენ, დაიწყება 1898 წლის 2 იანვრიდგან და შემდეგ ამავე ვადიდგან გაუქმებულ იქმნება ზემოხსენებულს ფურცლებზედ სარგებლის ძლევა.

დაკლებულ კუპონების ნაცვლად იმათი ღირებულობა იქმნება დაჭერილი.

გირავნობის ფურცლებზედ ფულის მიღება შეიძლება ქ. ქუთაისს, ბანკის კასაში; შეიძლება აგრეთვე პეტერბურგსა და კარშავასა ბ-ნის ვაველბერგის საბანკირო სახლში, სახელმწიფო ბანკსა და მისს ყველა განყოფილებათა და კანტორებში.

ამ ნუსხაში ნაჩვენებია ექვს-პროცენტიანი (6%) გირ. ფურცელთა ნომრები მხოლოდ პირველის შვიდის სერიისა, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები განცალკევებულია პირველიდგან დაწყებული. შემდეგ სერიებში, რვიდგან დაწყებული, სერიების ნომრები არ არის ნაჩვენები, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები ერთი ერთმანეთს მისდევს და, მაშასადამე, არ განმეორდება.

ბანკის გამგეობა

## ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ ნიხრით გირვანქა ღორის ხორცის ფასი, რა ნაჭერიც უნდა იყოს, 5 კაპ. დადგენილი. თუ ვინიცობაა რომელმამე ყასაბმა მეტი მოსთხოვა ვისმე, იმათ ქალაქის გამგეობა სთხოვს აცნობონ სავაჭრო პოლიციას ფარდულში, რომელიც სავაჭრო მოედნეზედ იმყოფება და ან ქალაქის გამგეობას, სადაც ამის გამოცხადება შეიძლება სიტყვიერადაცა და ქალაქის ფოსტითაც.

(3—6.—1)

## ვყიდულობთ



ცოცხალს, კავკასიის გარეულ ცხოველებს:

ირმებსა, ჯეირნებს, ვეფხვებს, ჯიხვებს, ირჩვებს, არნებს, ფოცხვერებს და სხვ.

**საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები.**

მიხეილის ქუჩა, № 106, ეზოში; სახლი ბარამოვისა. იკითხე ჰუგო გინკლერი. (6—212—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 15-го Декабря 1897 г. სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.